„ბსუ-ს დოქტორანტურის
დებულების“ ფორმა №1

**განაცხადი**

სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: **ისტორია**

1. ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ

1.1. სახელი და გვარი: **როინ მალაყმაძე**
1.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება: **ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი**
1.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

| | სამეცნიერო ნაშრომის დასახელება | წელი | ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი | დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN | სამეცნიერო ბაზის დასახელება | თანაავტორი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქართველ მუჰაჯირთა სოფლები თურქეთში: კაბაკდაღი | 2026 | Scientia, No. 6 (2025): Scientia - სამეცნიერო ჟურნალი | ISSN 2667-9590 | ERIH PLUS | ს. კალანდარიშვილი | |
| 2 | ეთნიკური იდენტობის ასპექტები დევსქელის ხეობის მოსახლეობის ისტორიულ კულტურულ | 2024 | მოამბე, ტ.science.org.ge/bnas/t18-n2/26_Malakmadze_History.pdf18, №2 | ISSN-0132 - 1447 | SCOPUS | ე. ფუტკარაძე, თ.ლომთათიძე. ნ.ჩელებაძე. მჭიჭილეიშვილი | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მეხსიერებაში | | | | | | |
| 3 | ნიგალის ხეობა დედასამშობლოსთან დაბურნების შემდეგ (1877-1921) | 2024 | ქრონოსი, №5 chronos.ihe.tsu.ge/index.php/journal/issue/view/5 | ISSN 2667-9477 | ERIH PLUS | | |

1.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

| | სამეცნიერო პროექტის სახელწოდება | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი | სტატუსი პროექტში | დამფინანსებელი ორგანიზაცია | ელექტრონული მისამართი | პროექტში ჩართული პირები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მეხსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარ | 01.01.2024-31.12.2026 | ხელმძღვანელი | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერ ფონდი | https://www.bsu.edu.ge/sub-16/links/1/index.html?lang=ge | ოლეგ ჯიბაშვილი, თამილა ლომთათიძე, დავით ჯიშკარიანი | |

1.5. სამეცნიერო ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება

| | უსდ-ს დასახელება | სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სტუდენტის სახელი და გვარი | ნაშრომის სახელწოდება | წელი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწ უნივერსიტეტი | ისტორია | ნათია თავდგირიძე | აკავრეთის ხეობა (ისტორია ეთნოკულტურა) | 2022-2026 | |

1.6. რელევანტური ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა.

| ღონისძიების ტიპი | ღონისძიების დასახელება | ორგანიზატორი | ჩატარების თარიღი | ჩატარების ადგილი | შენიშვნ. |
|---|---|---|---|---|---|
| სემინარი | თურქეთის ქართველთა დიასპორა: ტრადიციები და თანამედროვე აქტივობები | სამსუნის ქართული კულტურის ასოციაცი | 02.15.2025 | თურქეთი, ქალაქი სამსუნი | |
| პროფესიული კურსი/ტრენინგ | როგორ დავგეგმოთ შრომის ბაზრის კვლევა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის | ინოვაციური განათლების ცენტრი | 01.09.2024 | ბათუმი | |

1.7. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილება (ერთობლივი კვლევები/გრანტები/სამეცნიერო პროექტები)

ვხელმძღვანელობ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტს „ახალი კვლევები ანთიმოზ ივერიელის სიცოცხლისა და მოღვაწეობის შესახებ“, რომელსაც ახორციელებს რუმინეთის კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიის შემსწავლელი კვლევითი ცენტრი და ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი.

2. ინფორმაცია სამეცნიერო თანახელმძღვანელის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)

2.1. სახელი და გვარი ----------

2.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება ----------

2.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

| | სამეცნიერო ნაშრომის დასახელება | წელი | ჟურნალი, ტომი, გვერდ ელ. მისამარ | დიგიტალურ საიდენტიფიკაც კოდი DOI ან ISS | სამცნიერო ბაზის დასახელებ | თანაავტორ | შენიშვნ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

2.4.ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

| | სამეცნიერო პროექტის სახელწოდებ | პროექტის დაწყებისა დ დასრულების თარიღი | სტატუს პროექტშ | დამფინანსებელ ორგანიზაცია | ელექტრონულ მისამართი | პროექტში ჩართული პირები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

## 3. სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა

წარმოდგენილი კვლევა ეხება აჭარიდან ოსმალეთის იმპერიის შავიზღვისპირეთში ქართველთა მიგრაციული პროცესების შესწავლას 1877-1930 - იან წლებში. აღნიშნული პერიოდი დაკავშირებულია რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის პოლიტიკურ და სამხედრო დაპირისპირებასთან, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რეგიონის მოსახლეობის გადაადგილებაზე. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აჭარიდან დაიწყო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადასახლება ოსმალეთის ტერიტორიაზე, რის შედეგადაც თურქეთის შავიზღვისპირეთში ჩამოყალიბდა ქართველ მიგრანტთა (მუჰაჯირთა) თემები.

კვლევა შეისწავლის მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს, გადასახლების ტალღებს, დასახლების გეოგრაფიასა და ქართველ მიგრანტთა თემების ფორმირების პროცესს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ სოციალურ და კულტურულ მექანიზმებს, რომლებიც განაპირობებდა მიგრანტთა ადაპტაციას ახალ გარემოში და მათი იდენტობის შენარჩუნებას.

კვლევის თეორიული ჩარჩო დაეფუძნება მიგრაციის თანამედროვე თეორიებს, რომლებიც საშუალებას იძლევა ისტორიული მიგრაციის პროცესები გაანალიზდეს როგორც სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების ერთობლიობა. კვლევა იქნება ინტერდისციპლინარული ხასიათის და გააერთიანებს ისტორიულ და ანთროპოლოგიურ მიდგომებს. გამოყენებული იქნება საარქივო დოკუმენტები, ისტორიული წყაროები, სტატისტიკური მასალები, ეთნოგრაფიული მონაცემები და ზეპირი ისტორიები.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს აჭარიდან გადასახლებული ქართველების მიგრაციის ისტორიის უფრო ღრმა გააზრებას და ახალი პერსპექტივით წარმოჩენას. კვლევა, ასევე, დიდ წვლილს შეიტანს ისტორიული მიგრაციის კვლევების თანამედროვე ანალიზში, რაც სიახლეა ქართული სამეცნიერო სივრცისთვის.

3.1. კვლევითი პროექტის  დასახელება

**მიგრაციული პროცესები თურქეთის შავიზღვისპირეთში 1877-1930 წლებში (აჭარიდან მიგრირებულთა მაგალითზე)**

3.2. კვლევის სიახლე და აქტუალურობა

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური ცლილებების ეპიცენტრი გახდა. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომისა და შემდგომი პოლიტიკური პროცესების შედეგად აჭარის რეგიონიდან მოსახლების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა გადასახლებულიყო ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე. აღნიშნულმა მიგრაციულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა როგორც რეგიონის დემოგრაფიული და სოციო-კულტურული რეალობა, ასევე, ხელი შეუწყო თურქეთის შავიზღვისპირეთში ქართველ მუჰაჯირთა დასახლებების ჩამოყალიბებას.

კვლევის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით. პირველ რიგში, ნაშრომი მიზნად ისახავს აჭარიდან ოსმალეთის იმპერიის შავიზღვისპირეთის რეგიონებში ქართველთა მიგრაციული პროცესების კომპლექსულ ანალიზს, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ ფრაგმენტულად არის შესწავლილი.

მეორე მხრივ, კვლევის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს მიგრაციის პროცესებისადმი ახლებური მიდგომა და აღნიშნული პროცესების გასაანალიზებლად თანამედროვე მიგრაციული თეორიების გამოყენება. ეს თეორიული ჩარჩო საშუალებას იძლევა მიგრაცია განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ისტორიული მოვლენა, არამედ როგორც მრავალფაქტორიანი სოციალური პროცესი, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოსთან.

კვლევის კიდევ ერთი დადებითი მხარეა მისი ინტერდისციპლინარულობა და მასში ისტორიული და ანთროპოლოგიური მეთოდების გამოყენება. თემა ითვალისწინებს მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ისტორიულ-კულტურული პროცესების შესახებ კონკრეტული ადამიანებისა თუ ჯგუფების მეხსიერებაში შემონახული ინფორმაციის დაფიქსირებას ზეპირი ისტორიების შეკრების საშუალებით და მათ ანალიზს. ამგვარი მიდგომა საშუალებას მისცემს კვლევას ახალი პერსპექტივით წარმოაჩინოს აჭარიდან გადასახლებული ქართველების მიგრაციული გამოცდილება.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველების ისტორიისა და კულტურის შესახებ გარკვეული კვლევები უკვე არსებობს, მიგრაციული პროცესების ისტორიული დინამიკა, მათი გამომწვევი მიზეზები და დასახლების მექანიზმები თურქეთის შავიზღვისპირეთში ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი და ავლენს ბევრ ნაკლოვანებას. განსაკუთრებით ნაკლებადაა შესწავლილი აღნიშნული მიგრაციული პროცესები თანამედროვე მიგრაციის თეორიების კონტექსტში.

ამ მხრივ თემა ნამდვილად აქტუალურია, რადგანაც იგი მიზნად ისახავს მიგრაციული პროცესების მრავალმხრივ შესწავლას ისტორიული და ანთროპოლოგიური პერსპექტივების გაერთიანებით. აღნიშნული მიდგომა

შესაძლებელს გახდის უკეთ გაირკვეს როგორც მიგრაციის გამომწვევი ფაქტორები, ასევე, მიგრანტთა სოციალური და კულტურული ადაპტაციის საკითხები, რაც მნიშვნელოვანი წვლილი იქნება როგორც ქართული ისტორიოგრაფიის, ისე მიგრაციული კვლევების განვითარებაში.

### 3.3. კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი მიზანია შეისწავლოს აჭარიდან ოსმალეთის იმპერიის შავიზღვისპირეთის რეგიონებში ქართველთა მიგრაციული პროცესების განვითარება 1877-1930-იან წლებში, გამოავლინოს აღნიშნული მიგრაციის გამომწვევი მიზეზები, ძირითადი ტალღები და დასახლების პროცესები. კვლევა, ასევე, მიზნად ისახავს იმ სოცილური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების გაანალიზებას, რომლებმაც განაპირობა მოსახლეობის გადაადგილება და ახალი ქართული თემების ჩამოყალიბება თურქეთის შავიზღვისპირეთში.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- აჭარიდან მოსახლეობის გადასახლების ისტორიული წინაპირობების შესწავლა;
- 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომისა და მის შემდგომი პოლიტიკური პროცესების გავლენის გაანალიზება მიგრაციულ პროცესებზე;
- აჭარიდან გადასახლებული ქართველების მიგრაციის ძირითადი ტალღების, მიმართულებებისა და დასახლების გეოგრაფიის განსაზღვრა;
- თურქეთის შავიზღვისპირეთში ქართველ მიგრანტთა თემების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის შესწავლა;
- მუჰაჯირთა სოციალური და კულტურული ადაპტაციის მექანიზმების გამოვლენა.
- მუჰაჯირთა მეხსიერების ანთროპოლოგიური კვლევა, მათ ისტორიულ მეხსიერებაში შემონახული ზეპირი ნარატივების დაფიქსირება და ანალიზი.

კვლევის თეორიული საფუძველი დაეფუძნება თანამედროვე მიგრაციულ თეორიებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ისტორიული და სოციალური მიგრაციების შესასწავლად. განსაკუთრებით გამოყენებული იქნება გამომწვევი და მიმზიდველი ფაქტორების მოდელი, რომელიც მიგრაციას განმარტავს როგორც სხვადასხვა გამომწვევი ფაქტორების ერთობლიობას. ერთის მხრივ, იმ გარემოებებს, რომლებიც მოსახლეობას უბიძგებს დატოვონ საცხოვრებელი ადგილი, ხოლოს მეორეს მხრივ იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს ახალ ტერიტორიაზე გადასახლებას. ასევე, ჩვენთვის საინტერესოა მიგრაციული სისტემების თეორია, რომელიც მიგრაციულ პროცესებს განიხილავს როგორც ურთიერთდაკავშირებული რეგიონების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სისტემას. აღნიშნული თეორიული ჩარჩო საშუალებას იძლევა მიგრაცია გაანალიზდეს არა მხოლოდ როგორც ერთჯერადი ისტორიული მოვლენა, არამედ როგორც ხანგრძლივი და მრავალმხრივი სოციალური პროცესი.

კვლევა აუცილებლად მოიცავს დიასპორის ფორმაციის კონცეფციის გამოყენებასაც, რის საფუძველზეც გაანალიზდება თურქეთის შავიზღვისპირეთში ქართველთა თემების ჩამოყალიბება და განვითარება. ამასთან, კვლევა დაეყრდნობა ისტორიული

ანთროპოლოგიის მიდგომას, რომელიც აერთიანებს ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მეთოდებს და შესაძლებლობას იძლევა ისტორიული პროცესები გაანალიზდეს როგორც დოკუმენტური წყაროების, ისე კულტურული მეხსიერებისა და სოციალური გამოცდილების საფუძველზე.

რაც შეეხება უშუალოდ კვლევის მეთოდოლოგიას, იგი იქნება ინტერდისციპლინარული და დაეფუძნება როგორც ისტორიულ, ისე ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდებს. პირველ როგში გამოყენებული იქნება ისტორიულ-კრიტიკული მეთოდი, რომელიც გულისხმობს საარქივო დოკუმენტებისა და წერილობითი წყაროების კრიტიკულ ანალიზს, მათი სანდოობის შეფასებასა და ისტორიულ კონტექსტში ინტერპრეტაციას. ასევე, გამოყენებული იქნება ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა პერიოდისა და რეგიონის მიგრაციული პროცესების შედარებითი ანალიზი. მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემების შესწავლაც, რაც შესაძლებელს გახდის მუჰაჯირობის პროცესის რეკონსტრუქციას. ამასთან ერთად გამოყენებული იქნება ეთნოგრაფიული მეთოდები, მათ შორის ჩართული დაკვირვება, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები, ვიზუალურ-დოკუმენტური ანალიზი და ზეპირსიტყვიერი მასალები.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა
სამეცნიერო თანახელმძღვანელის ხელმოწერა

თარიღი